შ.პ.ს. “ ედრი + ”

ვამტკიცებ შ.პ.ს. “ედრი+” დირექტორი

ი. მანწკავა



სატენდერო დასკვნა

ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა, მორფოლოგიის ინსტიტუტის მიმდებარედ რესტორან ფისქვილის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ერთსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მასზე საბანკეტო დარბაზის მოწყობის გათვალისწინებით

თბილისი 2017 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა, მორფოლოგიის ინსტიტუტის მიმდებარედ რესტორან წისქვილის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ერთსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მასზე საბანკეტო დარბაზის მოწყობის გათვალისწინებით

ტექნიკური მდგომარეობის კვლევა წარმოებდა "საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს" მიერ 1992 წელს გამოცემული – "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგოარეობის დადგენის ინსტრუქციისა" და СП-13-102-2003-ის "შენობებისა და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები"-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

უბანი, სადაც განლაგებულია შენობა, ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

სეისმიურობა - 8 ბალი

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ2

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2

ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა, მორფოლოგიის ინსტიტუტის მიმდებარედ რესტორან წისქვილის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ერთსართულიანი შენობა მდებარეობს დახრილ ზედაპირზე. იგი ბელიაშვილის ქუჩის მხრიდან გნლაგებულია მიწის ქვემოთ, ხოლო მოპირდაპირე, მდინარე მტკვრის მხიდან ერთ სართულიანი ნაგებობაა.

საკვლევი ნაგებობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. სვეტები, რიგელები და გადახურვები მონოლითური რკინაბეტონისაა, მონოლითური რკინაბეტონისაა ასევე გრუნტთან შეხებაში მყოფი კედლები, ხოლო დანარჩენ ადგილებში კედლები შესრულებულია წვრილი შემავსებლით, ბლოკით. გადახურვის ნაწილზე დატოვებულია არმატურის ნაშვერები სვეტების მოსაწყობად. ნაგებობა გადახურულია ლითონის წამწეებით (ე.წ. "კისლოვოდსკის" გადახურვა).

განსახილველი შენობის კონსტრუქციების მზიდი ელემენტების სიმტკიცის მახასიათებლების დასადგენად შესრულებული იქნა ინსტრუმენტული სამუშაოები კონტროლის ურღვევი მეთოდების გამოყენებით.




სურ.1. არსებული ნაგებობის ხედი ბელიაშვილის ქუჩისა და მდინარე მტკვრის მხრიდან






სურ.2. ნაგებბეტონის კლასის დადგენა სვეტებში, რიგელებსა და გადახურვებში

გამოკვლეული იქნა არჩევითი მეთოდით, წინასწარ შერჩეული სვეტების, რიგელების და გადახურვის ფილების ბეტონის მარკები სკლერომეტრული

მეთოდით. ბეტონის სიმტკიცის კონტროლი ჩატარდა ГОСТ -22690-80; ГОСТ-1018-90; ГОСТ 1018-2000 და ГОСТ -18105-86 მოთხოვნების გათვალისწინებით. გამოყენებული იქნა იტალიური წარმოების “CONTROLS”- ის ფირმის ჩაქუჩი, მოდელი “ELKOMETER 181”’

ჩატარებული კვლევების მიხედვით: სვეტებსა და რიგელებში ბეტონის კლასი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით B20-ის ფარგლებშია, გადახურვებში B22,5

ჩატარებული ვიზუალური და ინსტრუმენტალური კვლევების საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ, რომ მასზე შესაძლებელია საბანკეტო დარბაზის დაშენება.

დასკვნა

ჩატარებული ვიზუალური კვლევების მიხედვით შესაძლებელია ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა, მოფოლოგიის ინსტიტუტის მიმდებარედ რესტორან წისქვილის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ერთსართულიან შენობაზე საბანკეტო დარბაზის დაშენება.

ამისათვის საჭიროა:

1. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ამ მიზნით დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.
2. არსებულ შენობაზე საბანკეტო დარბაზის დაშენების პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები.
3. საპროექტო ნაგებობა, როგორც სივრცული კონსტრუქცია გაანგარიშებული უნდა იქნეს 8 ბალიან სეისმიურ ზემოქმედებაზე.
4. არსებული საძირკვლები გადამოწმდეს ახალ დატვირთვებზე და საჭიროების შემთხვევაში გაძლიერდეს.
5. სვეტების არსებული არმატურები გაიწმინდოს ჟანგისაგან ანტიკოროზიული სითხით ან ქვიშაჭავლური აპარატით და შემდეგ დაბეტონდეს

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე
T: 551-24-30-18
ელფოსტა: Lerizam@mail.ru